ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №35narko/006

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი "17" "იანვარი" 2011წ.

დაიდო ერთის მხრივ, სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" "დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის კომპონენტის ჩანაცვლებითი მკურნალობის განსახორციელებლად 11 სამედიცინო ბრიგადის ფუნქციონირების ქვეკომპონენტის ხელმძღვანელს ირაკლი გამყრელიძესა (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს "სუფთა წყალი" დირექტორს თამაზ გრიგალაშვილს (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის.

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 3, 1 პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტი).

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-ს "ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის, ჩანაცვლებითი მკურნალობის" შიდა შემოსავლების ფარგლებში *სასმელი წყლის* შესყიდვა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1500 (ერთიათასხუთასი) ლარი.

4. ხელშეკრულების ობიექტი

4.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: "ბინულის" მარკის სასმელი წყალი (ლიცენზია №00980, გაცემული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2007 წლის 30 ნოემბერს) 19 ლიტრის მოცულობის მქონე ბოცები (ერთეულის ფასით 9 ლარი) (შემდგომში "საქონელი").

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 საქონლის უხარისხობის შემთხვევაში "მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით აწარმოებს საქონლის სრულ და დროულ შეცვლას, "შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

5.2 "მიმწოდებელი" იღებს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედ სანიტარულ და ხარისხის სტანდარტებისადმი მის მიერ მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობაზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 მიწოდების ადგილი – სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (იხ.დანართი 1)

6.2 მიწოდების ფორმა – "მომწოდებელი" ახორციელებს პროდუქციის მიტანას "შემსყიდველამდე" საკუთარი საშუალებებით სატელეფონო შეტყობებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში 24 საათით ადრე (საქონლის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირება და სხვა).

6.3 მიწოდების ვადაა – 17.01.11-31.12.11წწ;

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

7.1. ყოველი საქონელი უნდა იყოს წარმოდგენილი პროდუქციის მწარმოებლის მიერ სტანდარტული შეფუთვის მდგომარეობაში.

7.2 საქონელი მიღებული იქნება უშუალოდ "შემსყიდველის" ან მის მიერ დანიშნული ნდობით აღჭურვილი პირის მიერ.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 საქონლის მიწოდებას განახორციელებს უშუალოდ მხოლოდ "მიმწოდებელი", მან უნდა წარუდგინოს "შემსყიდველს" მის სახელზე შედგენილი სატრანსპორტო–სასაქონლო ზედდებული, ყველა თანმდევი დოკუმენტებით.

8.2 საქონლის მიწოდების დამთავრებისას "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მხარეების მიერ აისახება ყველა ამ პროცედურისათვის აუცილებელი მომენტები.

8.3 საქონლის მიღების დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას და აუცილებლობის შემთხვევაში გამოცვლას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

8.4 იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველის" მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება საქონლის უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს "მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით და მოითხოვს სათანადო კომპენსაციას ან საქონლის სრულ შეცვლას.

8.5 "მიმწოდებელი" ახორციელებს მიწოდებას "შემსყიდველის" მიერ დაწესებული გრაფიკის მიხედვით, რაზედაც წერილობით აცნობებს "მიმწოდებელს".

9. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

9.1 ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება, ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

9.3 ანაზღაურება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ მომდევნო თვის ათი დღის განმავლობაში, კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 "შემსყიდველი" ვალდებულია:

10.1.1 აცნობოს "მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

10.1.2 "შემსყიდველი" ვალდებულია დაიცვას სასმელი წყლის დისპენსერის და ბოცების ექსპლუატაციის პირობები, გაუფრთხილდეს მას და დაიცვას მექანიკური დაზიანების, დაკარგვის და მოპარვისაგან. "შემსყიდველის" მიზეზით დისპენსერის მწყობრიდან გამოსვლის, დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში იგი ვალდებულია "მომწოდებელს" შეატყობინოს და აუნაზღაუროს 220 ლარის ოდენობით. ყოველი დაზიანებული, დაკარგული ან მოპარული ბოცის (ტარა) სანაცვლოდ "შემსყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს 30 ლარი, ყველა სხვა შემთხვევაში "მომწოდებელი" იღებს პასუხისმგებლობას სასმელი წყლის დისპენსერის უსასყიდლოდ და დროულ შეკეთებაზე ან ახლით შეცვლაზე.

10.1.3 დისპენსერის სხვა მისამართზე გადატანის შემთხვევაში შეათანხმოს "მიმწოდებელთან" გადაადგილების საკითხი.

10.1.4 "მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული დისპენსერის კომპლექტში "ბინულის" მარკის გარდა არ განახორციელოს სხვა მარკის წყლის ან რაიმე სითხის ჩასხმა.

10.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

10.2.1 საკუთარი ხარჯებით დროებით განათავსოს "შემსყიდველის" მიერ მითითებულ მისამართებზე წყლის დისპენსერის კომპლექტი (კომპლექტში შედის დისპენსერი და 19 ლიტრის ტევადობის ბოცა (დასაბრუნებელი ტარა), აღნიშნულზე გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

10.2.2 მიაწოდოს "შემსყიდველს" საქონელი რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით "შემსყიდველის" მიერ დაკვეთილ პროდუქციას.

10.2.3 აცნობოს "შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

10.2.4 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

10.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

10.3.1 შეიძინოს წყალი ბოცით ან ბოცის გარეშე (თუ მანამდე აქვს შეძენილი "ბინულის"-ა მარკის ბოცა) და ანაზღაურება მოახდინოს შესაბამისად.

10.3.2 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;

10.3.3 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;

10.3.4 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" განმარტებანი და სათანადო დოკუმენტაცია რომლის არსებობის გარეშეც არ შეიძლება მომხდარიყო საქონლის წარმოშობა და მისი გადაადგილება;

10.3.5 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს იმ შემთხვევაში თუ "მიმწოდებლის" ქმედების გამო იგი დგება იმ ფაქტთან, რომ შეიძლება დაირღვეს სახელმწიფო ინტერესები, ამასთან მოითხოვოს ზარალის სრული ანაზღაურება;

10.3.6 არ სცნოს "მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

10.4 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

10.4.1 კომპანია "სუფთა წყალი"-ს კუთვნილი სასმელი წყლის დისპენსერი და ბოცები დაიტოვოს კომპანიის საკუთრებაში.

10.4.2 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების სრული ანაზღაურება.

10.4.3 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ "შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება საქონლის მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

10.4.4 აწარმოოს მოლაპარაკება "შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

10.4.5 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

10.4.6 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

11. გადასახადები და ბაჟები

11.1 "მიმწოდებელი" აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და გადასახდელების გადახდაზე, რომელიც შედის საქონლის ღირებულებაში.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1 იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" გადაწყვეტს შეიძინოს კომპანია "სუფთა წყალი"-ს დისპენსერი ან/და ბოცები, წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 10.4.1 ბათილად იქნება ცნობილი და ზემოთ ხსენებული ქონება გადავა "შემსყიდველის" საკუთრებაში.

12.2 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

12.3 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

12.4 ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

12.5 ფასების გადასინჯვის საკითხი წყდება ორმხრივი მოლაპარაკების წესით, ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა დაუშვებელია.

12.6 მხარეების ხელშეკრულების არაობიექტური მიზეზებით შეუსრულებლობისას გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.8 იმ შემთხვევაში, თუ თანხის მიღების მომენტისათვის (საბოლოო და მიმდინარე ანგარიშსწორება) ეროვნული ვალუტის ინფლაციის დონემ გადააჭარბა 2%, "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის იმართება მოლაპარაკება კურსთა შორის სხვაობის დაფარვის შესახებ.

13. გარანტია

13.1 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტს.

13.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა "შემსყიდველის" მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 "შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

14.1.1 თუ "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან "შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

14.1.2 თუ "მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს რის გამოც ვერ განხორციელდება საქონლის მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

14.3.1 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონილია "შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;

14.3.2 თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.3.3"მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

14.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" უკვე ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით.

15.2 მხარეებს არ ენიჭება უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობა.

15.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ხელშეკრულებაში ცვლილებათა შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც წარმოშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

15.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულებაზე დამატების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16. დაუძლეველი ძალის მოქმედება

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენები, რომელსაც ცნობენ მხარეები.

16.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების

შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

16.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

17.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შესძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც ივი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

18. გამოსაყენებელი სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

19.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

20. ურთიერთობა მხარეებს შორის

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის

21.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

21.2 "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებულ იქნება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.2% ოდენობით.

21.3 ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

21.4 "მიმწოდებელის" პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების პირობათა დარღვევის შემთხვევაში, ვრცელდება არა მარტო მისაწოდებელი საქონლის ფარგლებში, არამედ "შემსყიდველისათვის" იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი იქნება მის მიერ სახელმწიფო პროგრამის აუცილებელი შესრულებისათვის.

22. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

22.1 "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი განხორციელდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედეგები აისახება ინსპექტირების აქტში.

23. უფლებების გადაცემა

23.1 "მიმწოდებელს" არა აქვს უფლება "შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1. ხელშეკრულება შედის ძალაში შემდეგი პროცედურების გავლის შემდეგ:

24.1.1 მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან;

24.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 17.01.11-31.12.11წ.წ.

24.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

24.4 ხელშეკრულების მოქმედება წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

25. განსაკუთრებული შენიშვნები

25.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ითვალისწინებს და არ შეიძლება ცდებოდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს.

25.2 ხელშეკრულება დგება ორ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა "მიმწოდებელს".

26. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
ასათიანის ქ. №9
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს "თიბისი ბანკის" ვაჟა-ფშაველას გამზირი სც №1
ბ/კ 220101819,
ა/ა 37434080100002

ქვეკომპონენტის ხელმძღვანელი
ირაკლი გამყრელიძე

_____ ბ. ა

"მიმწოდებელი"
შ.პ.ს "სუფთა წყალი"
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის 118
შეკვეთების ნომერი: 439 439
საბანკო რეკვიზიტები:
სს "თიბისი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა: 001-023704-001
ბ/კ 220101555
ს/კ: 205150655

დირექტორი:
თამაზ გრიგალაშვილი

_____ ბ. ა.

1. სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" ქავთარაძის 21 ტელ: 8(99) 63 63 50
2. შ.პ.ს. "ედემი" ვაჟა-ფშაველას 83/11 ტელ 8(99)54 52 20
3. აეროპორტის მრავალპროფილიანი პოლიკლინიკა ტელ: 8(99) 50 94 14
4. სამედიცინო სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი "ურანტი" ალ. ყაზბეგის გამზირი 16 ტელ: 8(99)67 56 89
5. სსიპ ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი ვაჟა-ფშაველას 39ა ტელ: 8(99)51 99 23

"შემსყიდველი"
სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ქვეკომპონენტის ხელმძღვანელი
ირაკლი გამყრელიძე

_____ ბ.ა.

"მიმწოდებელი"
შ.პ.ს "სუფთა წყალი"

დირექტორი:
თამაზ გრიგალაშვილი

_____ ბ. ა.